ბერლინი. გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო გაზეთი „ნოიეს დოიჩლანდი“ აღნიშნავს, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ეს ვიზიტი დაიწყო სსრ კავშირ-რუმინეთის მეგობრობის ნიშნით. როგორც გაზეთი ხაზს უსვამს, სსრ კავშირსა და რუმინეთის სოციალისტურ რესპუბლიკას შორის არ არსებობს რაიმე გადაუჭრელი საკითხი. იგი აღნიშნავს წინამძღვრების არსებობას საბჭოთა კავშირ-რუმინეთის თანამშრომლობის შემდგომი გაფართოებისა და გაღრმავებისთვის, რაც განმსაზღვრელ როლს ასრულებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და რუმინეთის კომპარტიის კავშირურთიერთობის განმტკიცება.

ბაპანა. გაზეთი „ჟუენტულ რებელლე“, აქცენტებს რა ბუქარესტიდან მიღებულ ერცელ რეპორტაჟს გულითადი მასპინძლობის შესახებ, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს გაუწიეს რუმინეთის დედაქალაქის მცხოვრებლებმა, გამოთქვამს რწმენას, რომ ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტი რუმინეთში სამსახურს გაუწევს ორ ქვეყანას შორის ძმური ურთიერთობის, მეგობრობისა და თანამშრომლობის შემოდგომ განმტკიცებას.

რომი. იტალიური „უნიტა“ ყურადღებას უთმობს რუმინეთის დედაქალაქში დახვედრის უაღრესად გულთბილ ხასიათს. იტალიის ტელევიზიის კომენტატორმა „ტრიუმფული“ უწოდა დახვედრას, რომელიც ლ. ი. ბრეჟნევს მოუწყვეს ბუქარესტში.

ბონი. დასავლეთგერმანული „შუტგარტერ ციტუნგი“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტს რუმინეთში ახასიათებს როგორც „დიდ პოლიტიკურ მოვლენას“. „დდ“-ს საინფორმაციო სააგენტო აღნიშნავს, რომ ბუქარესტის მოლაპარაკება ხელს შეუწყობს სსრ კავშირისა და რუმინეთის ურთიერთობის შემდგომი განვითარების საქმეს.

ფოტოობიექტივშია რუმინეთი

რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკა. სურათზე (ზემოთ): რუმინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის შენობა ბუქარესტში.

რუმინეთის დედაქალაქში ჩასულ სტუმარს ხიბლავს ქალაქის კეთილმოწყობილი მიკრორაიონები, ცალკეული არქიტექტურული ანსამბლები, თანამედროვე ყაიდის მაღლივი შენობები. ბუქარესტი დღითიდღე მშვენდება და სულ უფრო კეთილმოწყობილი ხდება.

სურათზე (ქვემოთ): სასტუმრო „ბუქარესტი“ რუმინეთის დედაქალაქში.

საკადესის ფოტო.

ინგლისი პარლამენტის სესია დამთავრდა

ლონდონი. (საკადესი). ინგლისის პარლამენტის მორიგმა სესიამ, რომელიც აქ დამთავრდა, გვიჩვენა, რომ ლეიბორისტული მთავრობის პოზიციები სერიოზულად შესუსტდა, ცხადყო ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისის გაღრმავება, რაც უწინარეს ყოვლისა, შედგება ლეიბორისტული ხელმძღვანელობის სტრატეგიისა, რომელიც ეწინააღმდეგება მშრომელთა ფართო მასების ინტერესებს.

ლორდთა პალატის აშკარად ობსტრუქციონისტული პოლიტიკისა და ლეიბორისტთა სპარლამენტო ფრაქციის მემარჯვენე ფრთის წინააღმდეგობის გამო, საკუთარი არათანმიმდევრულობის გამო მთავრობამ რამდენიმე არსებითს წარმატებებს ვერ ძალიან ადვილი საკანონმდებლო ინიციატივებში.

მაგალითად, დოკერების პროფკავშირის უფლებების ზოგიერთი გაფართოების შესახებ მთავრობის კანონპროექტს ფაქტიურად არსი გამოაცალეს ამავე კანონპროექტის „შესწორებებმა“. სესიის უკანასკნელ დღეს ლორდთა პალატამ კვლავ უარყო აგრეთვე მთავრობის ბილი ავიასაშენებელი და გემთმაშენებელი მრეწველობის საწარმოთა ნაციონალიზაციის შესახებ.

როგორც ადგილობრივი კომენტატორები აღნიშნავენ, ლეიბორისტული პარტიის არჩევნებისწინა „მანიფესტი“ არსებითად არ სრულდება, რის გამოც პარტიის პოპულარობა მკვეთრად ეცემა. ამას ადასტურებს პარლამენტის ამასწინანდელი დამატებითი არჩევნები, რომლის დროს ლეიბორისტებმა კიდევ რამდენიმე დეპუტატის ადგილი დაკარგეს და ახლა თემთა პალატაში მინიმალური, უაღრესად მერყეული უმრავლესობა ჰყავთ.

სოციალისტური ცხოვრების წესი

საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის სამეცნიერო-თეორიული კონფერენცია

24 ნოემბერს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის დიდ დარბაზში მუშაობა დაიწყო საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის სამეცნიერო-თეორიულმა კონფერენციამ თემაზე — „განვითარებული სოციალიზმი და სოციალისტური ცხოვრების წესი“. კონფერენცია მოიწვიეს საბჭოთა კავშირის ლენინის ორდენოსანი საზოგადოება „ცოდნა“ გამგეობამ, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტმა, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის გ. კირკოვის სახელობის მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელმა საზოგადოებამ და საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობამ.

საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის სამეცნიერო-თეორიული კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობენ 250-ზე მეტი საზოგადოებათმცოდნე მეცნიერი, სასწავლებლების მასწავლებლები, პარტიული მუშაკები, პროპაგანდისტები, ყველა მოკავშირე რესპუბლიკებიდან ჩამოსული ლექტორები, ბულგარეთის წამყვანი საზოგადოებათმცოდნე მეცნიერები.

კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ჯ. პატიაშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ კონფერენცია მიმდინარეობს ლირსშესანიშნავ დროს, როცა რესპუბლიკის შრომელები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ცხოვრობენ და შრომობენ სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებების, ყრილობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვის დებულებებისა და დასკვნების უშუალო შთაბეჭდილების ქვეშ. ეს ისტორიული დოკუმენტები ჩვენ მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლებისათვის შემდგომი ბრძოლის მეცნიერულად დასაბუთებულ პროგრამად მიგვაჩნია, ისინი გვიჩვენებენ ხანგრძლივი პერსპექტივით საბჭოთა სახელმწიფოს განვითარების გზებს. დღეს, როცა სოციალიზმი მსოფლიო სისტემად გადაიქცა, ახალი ადამიანის აღზრდის პრობლემები სულ უფრო შეტ ყურადღებას იპყრობენ. აქ ბევრი სხვადასხვა ასპექტია — ეკონომიური, პოლიტიკური, მსოფლმხედველობრივი. ახალი ადამიანის ჩამოყალიბებასა და სრულყოფაზე სხვადასხვაგვარი ფაქტორები ახდენენ გავლენას. სოციალისტური ცხოვრების წესი მხოლოდ ერთ-ერთი მიმართულებაა ამ კომპლექსური პროგრამის კვლევაში, რომელიც სულ უფრო აქტუალური ხდება. ჩვენ, თქვა ჯ. პატიაშვილმა, კონფერენცია ამის კიდევ ერთ მაგალითად მიგვაჩნია, რომ წარმატებით ხორციელდება ჩვენი საერთად გადაწყვეტილება ყოველნაირად გავაღრმავოთ კორდინაცია. და თანამშრომლობა ზემოაღნიშნული პრობლემების დარგში.

ამ ერთი თვის წინათ თბილისში გაიმართა საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, რომელმაც განიხილა ინტერნაციონალური აღზრდის აქტუალური საკითხები სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა თვალსაზრისით. ამ კონფერენციის მონაწილეთა გამოსვლები მიეძღვნა ხალხთა ლენინურ მეგობრობას, როგორც საბჭოთა ცხოვრების წესის ერთ-ერთ საფუძველს, მის ინტერნაციონალურ ნიშნებს, შრომელთა კომუნისტური აღზრდის ამოცანებს.

სოციალისტური ინტერნაციონალიზმის დამკვიდრება გულისხმობს შეურიგებელ ბრძოლას წარსულის გადმონაშთების, მავნე ტრადიციების წინააღმდეგ, საბჭოთა ადამიანების ყოფა-ცხოვრებაში ახალი წესჩვეულებებისა და რიტუალების პროპაგანდასა და გავრცელებას. რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები ახორციელებენ რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ, მრავალფეროვან და თანმიმდევრულ მუშაობას ეწევიან წვრილბურჟუაზიული ფსიქოლოგიის, ჩვენთვის უცხო იდეოლოგიის გავლენის, ცხოვრებისადმი მომხმარებლური დამოკიდებულებისა და ჩვენი საზოგადოებისათვის ანტიპოდური სხვა მოვლენების დასაძლევად.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის სექტორის გამგემ, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორმა პროფესორმა ვ. სემინოვმა გააკეთა მოხსენება „სკკპ XXV ყრილობა სოციალისტური ცხოვრების წესის განვითარების შესახებ“. „ინტერნაციონალური და ნაციონალური სოციალისტური ცხოვრების წესში“ — ასეთ თემაზე გააკეთა მოხსენება სოფიის სინჟინერო-სამშენებლო ინსტიტუტის მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრის გამგემ ნ. კონდარევმა. ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელმა მუშამ ლ. ნიკოლოვმა თავისი მოხსენება მიუძღვნა საკითხს — „სოციალისტური ცხოვრების წესი და თავისუფალი დროის პრობლემები“. „სოციალისტური ცხოვრების წესი და ახალგაზრდობა“ — ასე ეწოდებოდა მოხსენებას, რომელიც გააკეთა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა, ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატმა მ. იგიტხანიანმა. მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტის დოცენტმა, ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატმა ბ. კნაზევმა წაიკითხა მოხსენება — „შრომა სოციალისტური ცხოვრების წესის ჩამოყალიბების საფუძველია“.

საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის ერთობლივი სამეცნიერო-თეორიული კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმისა და აგიტაციის განყოფილების გამგე გ. ბენინაშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერების და სასწავლებლების განყოფილების გამგე ე. სეხნიაშვილი, საკავშირო საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ა. ვლადისლავლიოვი.

კონფერენცია 26 ნოემბრამდე იმუშავებს. (საქინფორმი).

სურათზე: მარცხნიდან — კონსტანტინე სიმონოვი, ვიქტორ პერცოვი, გრიგოლ ალაშაძე, მიხეილ ქვლივიძე, კ. სიმონოვის მეულლე ლარისა ყადოვა, ოთხებ ნონეშვილი, ნოდარ დუმბაძე თბილისის ვაგზალში.

ვლ. გინზბურგის ფოტო.

ერთიან ძმურ ოჯახში

დღეს თბილისში გაიმართება სსრ კავშირის მწერალთა კავშირთან არსებული ქართული ლიტერატურის საბჭოს გამსვლელი სხდომა

□

რუსულ საბჭოთა მწერლობასთან და, საერთოდ, მრავალეროვნულ საბჭოთა ლიტერატურასთან ქართული ლიტერატურის კავშირურთიერთობისა და მეგობრობის ნამდვილი შტაბია სსრ კავშირის მწერალთა კავშირთან არსებული **ქართული ლიტერატურის საბჭო.** რომელსაც წლების მანძილზე ჩვენი სიტყვიერი კულტურისადმი დიდი სიყვარულით უძღვება ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე. ლენინური პრემიის ლაურეატი, სოციალისტური შრომის გმირი. საკავშირო მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი **კონსტანტინე სიმონოვი.** საბჭორეგულარულად იკრიბება და თავის სხდომებზე ქართული ლიტერატურის განვითარებისა და ჩვენი ქვეყნის მოძმე ლიტერატურებთან ურთიერთობის აქტუალურ საკითხებს განიხილავს.

დღეს კი (25 ნოემბერს) საბჭოთავის გამსვლელ სხდომას თბილისში მართავს. ამჯერად მისი მსჯელობის საგანი იქნება რუსულ ენაზე ქართული ლიტერატურის თარგმნის დღევანდელი მდგომარეობა, ამ თარგმანების ადგილი ცენტრალურ პრესაში და საკავშირო ლიტერატურული ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე (მომხსენებელი კ. სიმონოვი). სხდომაზე აგრეთვე განხილული იქნება თბილისში მცხოვრები რუსი მწერლების კრებულ-ალმანახი „სახლი ჟადრების ქვეშ“, რომლის რამდენიმე წიგნი „მერანმა“ გამოსცა რუსულ ენაზე (მომხსენებლები კრიტიკოსები ი. გრინბერგი და გ. მიტინი).

დღესვე საღამოს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართება **კონსტანტინე სიმონოვის შემოქმედებითი საღამო.**

გუშინ ქართული ლიტერატურის საბჭოს გამსვლელი სხდომის მონაწილენი კ. სიმონოვის ხელმძღვანელობით თბილისში ჩამოვიდნენ.

გულდი

კონსტანტინე სიმონოვი — ჩვენი სტუმარი

კონსტანტინე სიმონოვი დღეს ჩვენი სტუმარია. ჩვენ საშუალება გვაქვს მისი თანდასწრებით აღვნიშნოთ და პატივი ვცეთ საქვეყნოდ ცნობილი რუსი მწერლის დიდს ღვაწლსა და შემოქმედებით მუშაობას. კონსტანტინე სიმონოვის ლექსები, პოემები და რომანები ბევრჯერ თარგმნილა ქართულად, მის პიესებს ჩვენი თეატრები წარმატებით დგამდნენ...

კონსტანტინე სიმონოვი ქართველი მწერლების ახლო მეგობარია. სიტყვა „მეგობარი“ ჩვეულებრივ გამოთქმად იქცა და ხშირად, ძალიან ხშირად ვარქმევთ ყოველ მოღიმარ ადამიანს, რომელიც უბოროტოდ შემოგვექერის. საქვეყნოდ ცნობილი მწერლისა და მოღვაწის კონსტანტინე სიმონოვის მეგობრობა კი თავისი გულითადობით, მასშტაბით ჩვეულებრივ მეგობრობას აღემატება და თავისი თვისებითაც ჩვეულებრივისაგან განირჩევა. იგი უფრო ძვადნაფიცი თანამებრძოლია და ჩვენი მწერლობის სასიცოცხლო ინტერესებით ისევე გულწრფელად იღელვის, როგორც ყოველი ნამდვილი ქართველი მწერალი.

კონსტანტინე სიმონოვი დაუღალავი შემოქმედია, და მარტო საბჭოეთი კი არა, მის სიტყვას დღეს მთელი მსოფლიოს თანამედროვეობა ყურად იღებს. მისი პუბლიცისტური წერილები ყოველთვის მნიშვნელოვან პრობლემებს ეხება, მისი ნარკვევები ჩვენი ბუნების, ისტორიის, ცხოვრების ნათელ სურათებს გვიხატავს, ხოლო პიესები და კინოსცენარები ყოველთვის ხალხმრავალ აუდიტორიას იკრებს, და რომანებიც, რა თქმა უნდა! კონსტანტინე სიმონოვის რომანები ჩვენი დიდი სამამულო ომის დიდი წიგნია — დიდი ეპოპეა, ცოცხალი გმირებით აღსავსე. იგი თავისი დოკუმენტური სიმართლით და „მოქალაქეობრივი პათოსით „ჩაპაევის“ ავტორს დიმიტრი ფურმანოვსა და რომანტიკოს ალექსანდრე ფადეევსაც მოგვაგონებს...

ეს დოკუმენტურობა ცხოვრების კაბინეტური შესწავლის შედეგი როდია — კონსტანტინე სიმონოვი, როგორც მოგეხსენებათ, სამამული ომის უშუალო მონაწილეა, ომის მონაწილეთა პირადი მეგობარია, ამ ეპოპეის ერთ-ერთი გმირია თვითონ...

და მაინც იგი, ჩვენი საყვარელი იუბილარი, ჩემი ღრმა რწმენით, პირველ ყოვლისა პოეტია, გულს ჩამწვდომი ლირიკოსი! ამიტომაც იყო, რომ ბომბადამშენებით გაყრუებულ ცაში კონსტანტინე სიმონოვის ინტიმური ლირიკა მთელ საბჭოეთს სწვდებოდა.

აქ მოსაგონებელი მეცა მაქვს. იმ მძვინვარე ომის დროს, ჩრდილოეთ კავკასიიდან მამისონის უღელტეხილით რაპას გადმოსული — სხვა მწერლებთან ერთად მოსახლეობას ფრონტის შთაბეჭდილებებს მოგვ ვუზიარებდი... და ყოველთვის ყველაზე აღმაფრთოვანებელი ლექსი მაინც კონსტანტინე სიმონოვისა იყო. ეს ლექსი, შემდგომ გავბედე და ვთარგმნე და ახლა ვბეჭდავ პირველად, თუმცა ვიცი, რომ ქართულ ენაზე მისი რამდენიმე თარგმანი უკვე არსებობს.

მელოდია

ელოდე ისევ ჩემს მოსვლას — მოვალ!
ელოდე... თუნდაც თოვდეს და წვიმდეს,
მოჭქონდეს ღრუბლის ნაფლეთებს ელვა
და მზეც ამ ქვეყნად არ ამობრწყინდეს —
ელოდე! როცა დღე არ კაშკაშებს,
დღე როცა მწუხრის ნისლით ბნელია,
და ბედგანწირულ მებრძოლ ვაჟკაცებს
შინ სიზმარშიაც ალარ ელიან!
ელოდე მაშინ, მაშინ, როდესაც
არ ელი უკვე ჩემგან ბარათებს
და ელვა ცისა უბოროტესად
ანათებს წარსულს და არც ანათებს!

• • •

ელოდე ისევ ჩემს მოსვლას — მოვალ!
დასავიწყებლად არ გამომეტო.
იმედის შუქი ვინც ვერსად ჰპოვა —
მე სწორედ ის მსურს დაიმედო!
გამომიგლოვოს შვილმა და დედამ,
გამომიგლოვონ თუნდაც ტოლებმა —
მე იმათ ჭიქებს შორიდან ვხედავ,
მე მესმის მათი ხმის ათრთოლება.
მოიხსენიებს ჩემს სახელს, ვიცი,
ყველა მოკეთე და მეგობარი...
შენ კი, გახსოვდეს, გახსოვდეს ფიცი —
არ შესვა ჩემი შესანდობარი!

ჩემს დაბრუნებას ელოდე კვლავაც!
სიკვდილს წყვდიადში სადღაც მიმალულს
აკი მივუხტი მეც მოსაკლავად...
და ღიმილივით შევრჩი სიყვარულს! —
შენი სიჩუმე მესმა ცის იქით —
კვნესა რომ მკაცრი კბილით გადაჭერ...
შენი ლოდინით, შენი სიმტკიცით
გადამარჩინე სიკვდილს ათასჯერ! —
რას განვიცდიდი, რას განიცდიდი —
ჩვენ ორმა ვიცით, და სხვამ არავინ —
რადგან მელოდი, რადგან მიცდიდი,
ჯავრიც დავძლიე გულშემზარავი!

კონსტანტინე სიმონოვი მრავალი გამარჯვების მომსწრეა, მრავალი მაღალი შეფასების, მაგრამ პოეტური სიტყვის გამარჯვება რომ ყველაზე უფრო არსებითია მისთვის, ამას თვითონვე გრძობს. კონსტანტინე სიმონოვს თავის წიგნებში ჩვენი ლექსების და პოემების თარგმანებიც შეაქვს ხოლმე და ამით მხოლოდ თავის ნამდვილ მეგობრობას კი არა, თანამედროვე რუსი მწერლის პირდაპირ მოვალეობასაც ხაზგასმით აღნიშნავს.

კონსტანტინე სიმონოვს სამოცი წელი შეუსრულდა!.. ეს მხოლოდ თვალის გადავლებად თუ გამოგვადგება, თორემ მის უამრავ წიგნებსა და შრომით გაჩაღებულ დღეებს ჭალარა მგონი რომ დღესაც არ ეტყობა, ხოლო უბის წიგნაკში ჩამოწერილ გეგმას რომ ჩახედოთ, ნახავთ, რომ მწერლის შემოქმედებითი სამუშაო კვლავაც დიდია...

ოცი წლისაც არ იყო იგი, როცა ერთმა ჩვენმა უფროსმა მეგობარმა გამაცნო პირადად. მაშინ მოვისმინე ჯერ კიდევ დაუბეჭდავი ლექსები, და აი, აქამდე ჩვენი ძმობა არაფერს დაურღვევია. ვუცქერ მის დაუღალავ შეტევას, დაუმცხრალ ენერგიას და ვგრძნობ — მის საქმიანობაზე თვალის გადავლებაც კი ერთი კაცის შესაძლებლობას აღემატება!.. დიახ, რასაკვირველია, მაგრამ სინამდვილეა, რომ ერთსა და იმავე დღეს კონსტანტინე მოსკოვშიც არის, საქართველოშიც და უცხოეთის სხვადასხვა კუთხეშიც...

სადაც უნდა იყოს, რომელ ახალ რომანსაც უნდა წერდეს, ჩვენი გულის ძგერა ყველგან ესმის, ყოველთვის... და ახლაც ამ გულით მინდა მივესალმო მას, ჩვენს ნამდვილ მეგობარს.

კარლო კალაძე.

გულს უკეთ რომ ვუმკურნალოთ

საკავშირო სიმპოზიუმი თბილისში

გუშინ, 24 ნოემბერს საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების სხდომათა დარბაზში მუშაობას შეუდგა საკავშირო სიმპოზიუმი, რომელიც ეძღვნება კლინიკური და ექსპერიმენტული ფარმაკოთერაპიის აქტუალურ საკითხებს. კერძოდ, სიმპოზიუმის თემაა:

„ნონაქლაზინი კლინიკასა და ექსპერიმენტში“.

სიმპოზიუმის ორგანიზატორები არიან სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ფარმაკოლოგიის ინსტიტუტი, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიული სანანეიგენური და სტომატოლოგიური ფაკულტეტების ჰოსპიტალური თერაპიის კათედრა და ცენტრალური სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის კლინიკური და ექსპერიმენტული ფარმაკოთერაპიის განყოფილება.

სიმპოზიუმი გახსნა სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს უფროსის მოადგილემ ა. ალიმაკოვამ, მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ, პროფესორმა კ. გეგელაშვილმა, აკადემიკოსებმა ვ. ზაკუსოვმა, ა. ზურაბაშვილმა, პროფესორმა ს. კობალაძემ.

— გულის იშემია, — თქვა სიმპოზიუმის საორგანიზაციო კომიტეტის თავჯდომარემ, აკადემიკოსმა ვ. ზაკუსოვმა, — ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ძძიმე სენია. ფარმაკოლოგიის შესამჩნევი წარმატებების მიუხედავად ამ დაავადების სამკურნალოდ ახალი პრეპარატების ძიება უპირველესი მნიშვნელობის საკითხია. ამიტომ „ნონაქლაზინის“ მნიშვნელობა ძნელია გადაჭარბებით შეფასდესო. საბჭოთა ფარმაკოლოგების, ქიმიკოსების, კარდიოლოგების ერთობლივი ძიების შედეგად მიღებული ეს პრეპარატი ხელსაყრელად გამოირჩევა არსებული საშუალებებისაგან, და რაც მთავარია, ახასიათებს ახალი თვისებები და მოქმედების ახალი მექანიზმი. კლინიკურმა და ექსპერიმენტულმა გამოცდამ ანალოგიური შეფასება მისცეს „ნონაქლაზინს“.

„საქართველოს აგიტატორი“ № 22

გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ჟურნალ „საქართველოს აგიტატორის“ მორიგი, ოცდამეორე ნომერი.

ჟურნალი იხსნება მოწინავე წერილით — დიდ ეკონომიურ შესაძლებლობათა ხუთწლედი. აქვეა გამოქვეყნებული წერილი — სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია ინტერნაციონალური აღზრდის საკითხებზე.

ანშლაგით „პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებანი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის დადგენილება — ცხოვრებაში“ დაბეჭდილია გ. ბიწაძის სტატია — სოფლის მეურნეობის მეცნიერება გუშინ, დღეს, ხვალ.

რუბრიკით „საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ“ გამოქვეყნებულია მ. წულაძის წერილი — ვაჭრობა, მისი პრობლემები და ჩვენ.

ანშლაგით „ვეხმაურებით ელმავალმშენებელთა თათხობას“ დაბეჭდილია რ. კილასონიას წერილი — ჩვენი ახალგაზრდის მორალური სახე.

ჟურნალს აქვს განყოფილებები: „მასალები სიტყვიერი გამოსვლისათვის;“ „შეჯიბრების ქმედითობისათვის“; „ხუთწლედის მოწინავენი“; „საერთაშორისო თემაზე“; „მეთოდიკა“; „კონსულტაცია“, „აღზრდის თემაზე“; „წერილები, ცნობები, შენიშვნები“; „ცნობები პარტიების შესახებ“; „ვის რა აინტერესებს“.

წიგნის თაკრ

ოცი დღე უომრად

დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გმირობას კონსტანტინე სიმონოვმა მრავალი პოეტური, პროზაული, პუბლიცისტური და დრამატული ნაწარმოები მიუძღვნა.

მწერალმა გამოაქვეყნა აგრეთვე მოთხრობები „ლოპატინის ჩანაწერების“ სახელწოდებით, სადაც ასახულია მუშათა კლასის შრომითი მამაცობა, ინტელიგენციის თავდაუზოგავი შრომა ომიანობის ბურგში.

ამ მოთხრობის შესახებ თვით კ. სიმონოვი წერს: „შესაძლოა, შემდეგში ყველა ეს ამბავი გაერთიანდეს და ჩამოყალიბდეს ომთან დაკავშირებულ კიდევ ერთ რომანად“.

1973 წელს „ლოპატინის ჩანაწერებს“ დაემატა ახალი მოთხრობა — „ოცი დღე უომრად“. მწერალი გვაცნობს სამხედრო კორესპონდენტ ლოპატინის „მშვიდობიან“ ტაშკენტსა და თბილისში მოგზაურობის შთაბეჭდილებებს.

ამ დღეებში მწერლის ეს ნაწარმოები „მერანმა“ ქართულ ენაზე გამოსცა. მოთხრობა თარგმნეს კ. ჯავრიშვილმა და ა. ცინცაძემ. წიგნის რედაქტორია ე. კეჭაღმაძე, მხატვარი — სპ. ცინცაძე.

ქართველი მკითხველი, კერძოდ, ინტერესით გაეცნობა მოთხრობის ამ ადგილებს, სადაც გულთბილად და დიდი სიყვარულით არის ასახული ომისდროინდელი ქართველი ინტელიგენციის სულისკვეთება.

სხვისი ჭირი ლობეს ჩხირი?!

1. როცა გული არ გულოგს

მივლინება მკითხველის თხოვნით

□

მიხეილ ბიგვავას გალში კარგად იცნობენ. იგი მშრომელი კაცია, პროფესიით ტრაქტორისტი. ადრე დაცოლშვილდა, მუშაობდა, ოჯახს უვლიდა, მისი წუწუნი და საჩივარი არავის გაუგონია. მაგრამ აი უკვე ოთხი წელია მ. ბიგვავას ისე გაუხდა საქმე, რომ მთელ დროსა და ენერგიას საჩივრებისა და განცხადებების წერას ანდომებს, სასამართლოსა და პროკურატურის ხშირი სტუმარი გახდა. დიახ, ერთმა უბედურმა შემთხვევამ შეცვალა მისი ცხოვრება, ოჯახის ბედი.

1972 წელს მ. ბიგვავა ხობის სამელიორაციო მექანიზაციის № 2 სამმართველოში მუშაობდა ტრაქტორისტად. მთელი ზაფხული იმუშავა სოფელ ჭუბურხინჯის ტერიტორიაზე ამოძირკვასა და ხვნაზე და აი მოულოდნელი ბიფათი — საწვავის ჩასხმის დროს ტრაქტორის მუხლუხაზე ფეხი დაუსხლტა და მუხლი დაიზიანა. ტრავმა სერიოზული აღმოჩნდა, ხანგრძლივი მკურნალობის მიუხედავად ჯანმრთელობა ვერ აღიდგინა, მეორე ჯგუფის ინვალიდი გახდა.

რა თქმა უნდა, ჯანმრთელობის დაკარგვა მეტად სავალალოა, მაგრამ თუ უბედურება მოხდება, ასეთ შემთხვევაში სანუგეშოდ ის მაინც რჩება ადამიანს, რომ სახელმწიფო მას სათანადო პენსიით უზრუნველყოფს.

სამწუხაროდ, ის, რაც მ. ბიგვავას კანონით ეკუთვნოდა, უგულო ადამიანებმა სადავოდ, თავსატეხად გახადეს.

ტრავმა რომ მიიღო, მ. ბიგვავა სამკურნალოდ გალის რაიონის ცენტრალური საავადმყოფოს ტრავმატოლოგიურ განყოფილებაში დაიწვინეს, საავადმყოფო ფურცელი გაუხსნეს, ავადმყოფობის ისტორია შეადგინეს. რადგან ბიფათი წარმოებაში მოვალეობის შესრულების დროს მოხდა, სათანადო აქტიც უნდა შეედგინათ, ეს მას საავადმყოფოში აუხსნეს. მ. ბიგვავასაც არ დაუყოვნებია, მის სანახავად მოსულ ჭუბურხინჯის უბნის უფროსს ო. ხუფენაის სთხოვა აქტი შეედგინათ. სამმართველოს მესვეურებმა თხოვნა ყურად არ იღეს, რად გინდა აქტი, ამით საერთო საქმე გაგვიფუჭდებაო, განცხადება დაწერე, ახ მანვოს დახმარებას მოგცემთ, დამატებით შეგიგრავენთ ფულს, შენც კმაყოფილი იქნები და ჩვენცო.

ხუთი თვის მკურნალობის შემდეგ მ. ბიგვავა გალის რაიონის შრომითი ექსპერტიზის საექიმო კომისიაში გაატარეს და მეორე ჯგუფის ინვალიდობა დაუდგინეს. რადგან სოცუზრუნველყოფის განყოფილებაში წარდგენილი არ იყო სათანადო დოკუმენტი საწარმოო ტრამვის შეღებგად ჯანმრთელობის შერყეკის შესახებ, მას პენსია 42 მანეთი დაუნიშნეს. მ. ბიგვავა მხოლოდ ახლა მიხვდა, თუ რაოდენ საჭირო და აუცილებელი ყოფილა აქტი, რომელიც თავის დროზე არ გაუფორმეს.

მ. ბიგვავამ კვლავ სამმართველოს ხელმძღვანელობას (უფროსი ს. აბრამია) მიმართა, მაგრამ იგი უარით გამოისტუმრეს — ჩვენ ამის შესახებ არაფერი არ ვიცით და საბუთსაც ვერ მოგცემთო. ამის შემდეგ მ. ბიგვავა დარწმუნდა, რომ იგი მოატყუეს, და იძულებული გახდა ზემდგომი ორგანოებისათვის მიემართა. მისი განცხადება განიხილეს საქართველოს სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშა-მოსამსახურეთა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტში, ადგილზეც მოავლინეს კაცი, მაგრამ, როგორც ირკვევა, კომიტეტის ტექნიკური ინსპექტორი რ. ნაკაიძე ზერელედ მოეკიდა საქმეს და ტრაქტორისტის სამართლიანი საჩივარი უშედეგოდ დარჩა.

მ. ბიგვავა იძულებული იყო სასამართლოსათვის მიემართა. გალის რაიონის სახალხო სასამართლომ საქმე გამოსაძიებლად პროკურატურას გადაუგზავნა. პროკურორის თანაშემწემ კ. შამათავამ გულდასმით შეისწავლა მასალები და სასამართლოს გადასცა. სახალხო სასამართლომ მ. ბლიაძის თავმჯდომარეობით დადგენილად ჩათვალა ის ფაქტი, რომ მ. ბიგვავამ სხეულის დაზახიჩრება მიიღო წარმოებაში მუშაობის დროს. სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება დაამტკიცა აფხაზეთის ასსრ უმაღლესმა სასამართლომ.

ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ხობის სამელიორაციო მექანიზაციის № 2 სამმართველოს მ. ბიგვავასათვის პენსიის სახით უნდა აენაზღაურებინა ჯანმრთელობის დაზიანებით მიყენებული ზარალი. სამმართველოს მესვეურები განაწყენდნენ — როგორ, ტრაქტორისტმა თავისი უნდა გაიტანოსო? და ზეწუსით გაასაჩივრეს სახალხო სასამართლოსა და აფხაზეთის უმაღლესი სასამართლოს კოლეგიის გადაწყვეტილებანი.

აფხაზეთის ასსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა პროტესტი მიიღო, ვაუაქმა გალის სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი სასამართლოს კოლეგიის განჩინება, და საქმე განსახილველად ისევ გალის რაიონის სახალხო სასამართლოს დაუბრუნეს.

რაიონის სახალხო სასამართლომ ი. კეკუას თავმჯდომარეობით და გალის რაიონის პროკურორის ვ. ყალიჩავას მონაწილეობით გაარჩია საქმე და 1976 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილებით დაადგინა, რომ სხეულის დაზიანება მ. ბიგვავას მიღებული აქვნდა საწარმოო ტრავმის შედეგად. ამასთან სახალხო სასამართლომ განჩინება გამოიტანა გალის რაიონის პროკურატურისათვის ხობის სამელიორაციო მექანიზაციის № 2 სამმართველოს ზოგიერთი პასუხისმგებელი მუშაკის მიერ ჩადენილი მიწერების, ყალბი დოკუმენტების შედგენის, გადასწორებისა და სხვა დარღვევებთან დაკავშირებული მასალების გადაცემის შესახებ.

დავა ტრაქტორისტსა და მის ხელმძღვანელებს შორის ამით არ დამთავრებულა. სასამართლოს ეს გადაწყვეტილებაც უკანონოდ ჩათვალეს და ისევ საკასაციო საჩივარი შეიტანეს, ყოველნაირად ცდილობდნენ სიმართლე გაემრუდებინათ.

სასამართლო პროცესზე სამმართველოს უფროსი ს. აბრამია, პროფკავშირის მუშათა კომიტეტის თავმჯდომარე გ. აბაკელია, ინჟინერი ტექნიკური უსაფრთხოების დარგში ი. გვასალია და სხვები უსირცხვილოდ ამტკიცებდნენ, რომ იმ პერიოდში, როცა მ. ბიგვავამ ფეხი დაიზიანა, უკვე ჩვენთან არ მუშაობდა, აგვისტოს ბოლოდან თვითნებურად დატოვა სამუშაო და წავიდაო. საავადმყოფო ფურცლებში კი გარკვევით არის აღნიშნული სამუშაო ადგილი და შრომის უუნარობის პერიოდში ბიულეტენით დახმარების გაცემა.

სასამართლოს თავმჯდომარემ სამმართველოს უფროსს ს. აბრამიას პროცესზე აჩვენა მ. ბიგვავას დახასიათება, სადაც აღნიშნულია, რომ იგი 1972 წლის 1 ივლისიდან 1973 წლის 18 სექტემბრამდე მუშაობდა ხობის სამელიორაციო მექანიზაციის № 2 სამმართველოში ტრაქტორისტად. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ამ დოკუმენტს გვერდს ხომ ვერ აუვლის სამმართველოს უფროსი!

აი უკვე ოთხი წელი გადის და მ. ბიგვავას საქმე ჯერაც ბრ დამთავრებული.

ამასწინათ ხობის სამელიორაციო მექანიზაციის № 2 სამმართველოს კასაციის საფუძველზე მტკიცებულებათა ზოგიერთი ხარვეზის მოტივით აჭარის ასსრ უმაღლესმა სასამართლომ გააუქმა ჯალის რაიონის სახალხო სასამართლოს ვადაწყვეტილება და საქმე ხელახალი გარჩევისათვის კვლავ (ეს უკვე მესამედ) გალის რაიონის სახალხო სასამართლოს გადასცა.

რა თქმა უნდა, სამართალი თავის გზას იპოვის, მაგრამ საქმე მარტო ეს როდია. საწარმო, დაწესებულება, სადაც ჩვენ ვმუშაობთ, ეს ხომ ჩვენი ოჯახია, აქ იმედი უნდა გვქონდეს აღნანაგების, ხელმძღვანელების, ყველა გვერდში მდგომის. როგორ შეიძლება ხელმძღვანელის, კოლექტივის მიერ მისი წვრილ ასე ვამტანა ყველაზე მძიმე პერიოდში, მაშინ, როცა მას ყველაზე მეტად სჭირდება ხელის გაწვდენა?

ცხადია, კანონი მ. ბიგვავას უნდა შეშდ არ დატოვებს, მაგრამ რა უნდა სჯეროდეს მას სამმართველოს იმ ხელმძღვანელებისა, რომლებიც ასე უსულგულოდ მოეკიდნენ ადამიანს?!

ი. გოგეჩია,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

2. მეზობელი კარისაო...

მივლინება მკითხველის თხოვნით

□

მოგეხსენებათ, რა ძნელია სიბერეში ფუძისა და კერის გამოცვლა. მაგრამ რას იზამ, თუ ამის აუცილებლობას გარეშეოგა წარმოშობს!

მოსე სამსონაძემ თითქმის მთელი ცხოვრება თბილისში, ვერის უბანში გაატარა. ერთი ოთახი ჰქონდა კალანდაძის ქუჩაზე, 22 ნომერში. აქ გადაიხადა ყველა ჭირი და ლხინი და უყვარს აქაურობა. უყვარს და ალბათ ვერც ვერასოდეს შეელეოდა მას, მაგრამ, რა ქნას, გაუჭირდა.

შვილები და შვილიშვილები კარგახანია თავთავისთვის დაეფუძნენ და დაბინავდნენ. მშობლებიღა შერჩნენ სიბერეში ძველ სახლს და კერას. ვიდრე მოხუცი მეუღლე ჰყავდა გვერდით მოსეს, კიდევ არა უჭირდა რა, მაგრამ როცა მისი გარდაცვალების შემდეგ მარტოდ-მარტო დარჩა და სიბერემ და ავადმყოფობამაც მთლად დარია ხელი, მიხვდა, რომ ასე არ გაეძლებოდა: სხვა გზა არ ჰქონდა, შვილთან უნდა გადასულიყო, მომვლელი და პატრონი ჰჭირდებოდა.

შვილი — გივი სამსონაძე 1966 წლიდან ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე ცხოვრობს ცოლშვილით სამოთახიან იზოლირებულ ბინაში. ამ ერთი წლის წინათ ოჯახი გაფართოვდა, უფროსმა ვაჟიშვილმა კახამ ცოლი მოიყვანა. ოჯახურმა ვითარებამ ბინის გაყოფა მოითხოვა. ერთ ოთახში ახალდაქორწინებულნი დაბინავდნენ, ორში—მშობლები და უმცროსი ვაჟიშვილი. ოჯახისა და ბინის გაყოფა წესისამებრ გააფორმეს, სადაც ჯერ იყო.

და მერე, როცა მოხუცი მოსე სამსონაძის შვილთან საცხოვრებლად გადასვლა აუცილებელი გახდა, მოილაპარაკეს ოჯახში და გადაწყვიტეს ბაბუას და შვილიშვილს გაეცვალათ ბინები, პაპა შვილიშვილის კუთვნილ ერთ ოთახში გადავიდოდა და შვილის გვერდით იცხოვრებდა, შვილიშვილი კი მეუღლითურთ პაპის იმ ერთ ოთახში ჩასახლდებოდა კალანდაძის ქუჩაზე.

შექმნილი ვითარების დროს ამაზე უკეთესი, ბუნებრივი და მოსახერხებელი რაღა უნდა ყოფილიყო.

ასეც მოიქცნენ. კახა და მისი მეუღლე კალანდაძის ქუჩაზე გადავიდნენ. მოხუცი კი — შვილთან გადავიდა ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე. ახლა ყოველივე ამის (ე. ი. კომუნალური ბინების გაცვლის) ოფიციალურად გაფორმებაღა იყო საჭირო.

ამ მიზნით პაპამ და შვილიშვილმა — მოსე და კახა სამსონაძეებმა საქალაქო საბჭოს აღმასკომს მიმართეს. აღმასკომში შესაძლებლად ცნეს გაცვლა და განცხადება გაცვლის ბიუროს დაუწერეს რეზოლუციით: „გაცვლა დასაშვებად მიგვაჩნია. გთხოვთ განიხილოთ და გადაწყვიტოთ“.

თითქოს წინ არაფერი უნდა დასდგომოდა ბინების გაცვლას. მაგრამ ამ დროს ასპარეზზე გამოჩნდა მეზობელი — ელენე სურმავა და ხმამაღლა იყვირა: არაო, გაცვლის ნებას არ მოგცემთო.

აღმასკომშიც თავი შეიკავეს; როცა მეზობელი წინააღმდეგია, ჩვენ უფლება არა გვაქვს საკითხი გადავწყვიტოთ, სასამართლოს მიმართეთო.

მიმართეს სასამართლოს, მაგრამ იქიდანაც უარი მიიღეს. რით არის დასაბუთებული სასამართლოს ასეთი გადაწყვეტილება? მეზობელია გაცვლის წინააღმდეგი და თქვენც, ბაბუას და შვილიშვილს გულში თავიდანვე ცუდი ზრახვა გქონიათო.

მაინც რა უნდა მეზობელს? ნუთუ ახალგაზრდების მეზობლობას დაეგრძელებინა და სხვისი მოსავლელი მოხუცის მეზობლობა ურჩევნია?

ეს ჩემი საქმეაო, აცსადებს ელენე ნესტორის ასული სურმავა, — მე ჩემი მიზნები და ზრახვები მაქვსო. მოსე სამსონაძის კუთვნილ ოთახზე მე მაქვს კანონიერი უფლება, მისი გარდაცვალების შემდეგ ჩემი მრავალსულიანი ოჯახი მისი განთავისუფლებული ოთახის ხარჯზე უნდა გაფართოვდესო.

როგორ მოგწონთ მეზობლის საბუთები და მოტივები? როგორ გუნებაზე დადგებით, ასეთი მეზობელი ყოველ დილით კარის ზღურბლზე რომ ჩაგივლით და მოგაყურადებთ — მოკვდა თუ კიდევ ცოცხალიაო?

და ყოველივე ეს, რასაც ახლა გუუბნებით ავი მეზობლის ავ ზრახვებზე, ჩვენი ვარაუდები კი არ არის, თვით მისი სიტყვებია და ასევე წერია კალინინის რაიონის სახალხო სასამართლოს 1976 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილებაში: „მოხუცის გარდაცვალების შემდეგ მისი ოჯახი უნდა გაფართოვდეს აღნიშნული ოთახის ხარჯზე“ და სხვა და ა. შ.

და სასამართლომ მეზობლის ასეთი განცხადება სავსებით საკმაო საბუთად ჩათვალა იმისათვის, რომ უარი ეთქვა სამსონაძეების სარჩელზე ბინის გაცვლის გამო. ამასთან სასამართლომ დიდი გამჭრიახობა და შორსმჭვრეტელობა გამოიჩინა და მეზობლის ამ მოტივს თავის მრავ ბინის გაცვლაზე უარის თქმის ახალი მოტივიც დაუმატა: ამ რამდენიმე თვის წინათ ახალდაქორწინებულმა კახაბერ სამსონაძემ მამის სამოთახიანი ბინიდან თავის ახალი ოჯახისათვის ერთი ოთახის გამოყოფა რომ მოახერხა, ეს ბოროტი განზრახვითი ქნა: ბაბუასთან ბინის გაცვლა წინასწარ ჰქონდა დაგეგმილი, რომ მოხუცის გარდაცვალების შემდეგ მისი ოთახი დარჩენოდაო.

მოსამართლეთა ღრეჩიას დამიხედეთ — ავ ზრახვას ხედავენ იმაში, რომ ორმა ოჯახმა — ორი სხვადასხვა თაობის წარმომადგენლებმა, ერთად ცხოვრება არ მოისურვეს და ბინა გაიყვეს, ხოლო ელენე სურმავას განზრახვა, აღიარება და მოქმედება, მოხუცი მეზობლის კარზე იყოს დადარაჯებული, როდის მოკვდება იგი, რომ მისი ბინა დავიკავოო, ბუნებრივად და კეთილსინდისიერად მიაჩნიათ!

მოსამართლე გულთამხილაობას იჩემებს და რაღაცას ფანტაზიორობს: ვარაუდობს იმას, რაც შეიძლება მოხუცის სიკვდილის შემდეგ მოხდეს, ხოლო ფაქტიურ მდგომარეობას მხედველობაში არ იღებს. აბგარიშს არ უწევს ცოცხალ ადამიანს, არ ითვალისწინებს მოხუცის თხოვნას და სურვილს შეილის გვერდით ჰქონდეს ბინა, რომ მომვლელი და პატრონი ჰყავდეს, ხოლო გადაწყვეტილებაში მიუთითებს მისი სიკვდილის შემდეგ მოსახდენ რაღაც საეჭვო გარემოებებზე.

და სახალხო სასამართლოს ასეთი გადაწყვეტილება თბილისის საქალაქო სასამართლომაც კანონიერად ცნო და სამსონაძეებს — პაპას და შვილიშვილს ბინების გაცვლაზე უარი უთხრა!

მართალია, ბინის გაცვლისათვის კანონით მეზობლების თანხმობაა საჭირო, მაგრამ კანონი განა მექანიკურად უნდა გამოვიყენოთ?! მართლმსაჯულების წარმომადგენლები მოვალენი არიან კონკრეტულ გარემოებათა მიხედვით განსაჯონ და გადაწყვიტონ საკითხი. და განა ამ შემთხვევაში კონკრეტული გარემოებანი მოხუცისათვის ბინის გაცვლაზე უარის თქმის საფუძველს იძლევა? როგორ შეიძლება სამართალს საფუძვლად დაედოს მეზობლის ახირება, ბოროტების საზღვარს მიღწეული ზრახვა, რაშიც არა მარტო ამ ერთი მოხუცისადმი უკეთური განწყობილება ჩანს, არამედ ყოველი ჩვენგანისადმი, ადამიანებისადმი უპატიცემლობა და სიძულვილია გამოხატული.

მ. მიქაძე.

ᲐᲛᲘᲜᲓᲘ

ᲑᲣᲨᲘᲜ, 13 საათზე ყველგან უნალექო ამინდი იდგა. დასავლეთ საქართველოში ყველაზე მეტი სითბო — 22 გრადუსი ზუგდიდში იყო, დანარჩენ დაბლობ რაიონებში 18-21. მთებში 8-14 გრადუსი აღინიშნა.

აღმოსავლეთ საქართველოში ყველაზე მეტი სითბო — 15 გრადუსი ყვარელში იყო.

ღღეს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია მოღრუბლული ამინდი, წვიმა, ზოგან ძლიერი, რიონის ხეობაში იქროლებს დასავლეთის ქარი. ტემპერატურა — დაბლობ რაიონებში 9-14, მთებში 5-10 გრადუსი.

აღმოსავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ რაიონებში მოსალოდნელია მცირე ნალექი. მტკვრის ხეობაში დასავლეთის ქარი იქროლებს, დაბლობ რაიონებში 6-11, მთებში 1-5 გრადუსი სითბო იქნება.

თბილისში მოსალოდნელია უმნიშვნელო წვიმა, იქროლებს ჩრდილოდასავლეთის ქარი, ტემპერატურა — 9-11 გრადუსი.

ᲞᲘᲚᲝᲢᲔᲑᲘ ᲛᲐᲛᲐᲪᲣᲠᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲐᲛᲐᲠᲘᲡᲐᲓ ᲔᲠᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲒᲘᲒᲝᲠᲘ ᲡᲐᲡᲢᲠᲝᲚᲘᲩᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში აქტიური მონაწილეობისათვის მედლით „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში ჩინებული სამსახურისათვის“ დაჯილდოებულია ალექსანდრე მახეილის-ძე მაზურინი.

...გაზაფხულის ერთ დღეს რიგითები ალექსანდრე მაზურინი და ვლადიმერ კლიმენკო საპატრულო-საგუშაგო სამსახურს ასრულებდნენ სოხუმში, ბარათაშვილის ქუჩაზე. ღამის მეთორმეტე საათი იყო. ქუჩის სიწყნარე დაარღვია მთვრალების ღრიანცელმა. შვიდი ახალგაზრდა ლანძღვა-გინებით იკლებდა ქუჩას, გამვლელებს შეურაცხყოფას აყენებდა. წესრიგის დამცველებმა გათავხედებულ ხულიგნებს მოუწოდეს დაშლილიყვნენ, მაგრამ ახალგაზრდებმა გინება დაუწყეს წესრიგის დამცველებს, ერთ-ერთი მათგანის ხელში კი დანამ იელვა. ვ. კლიმენკომ სამბოს მარჯვე ხერხით განიარაღა თავდამსხმელი. დაიწყო უთანასწორო ბრძოლა, რომლის დროს ა. მაზურინი მუცელში დაჭრეს. ჭრილობის მიუხედავად, ორმა მამაცმა შეძლო ხულიგნების დაკავება.

ა. კლიმენკო 20 წლისაა, იგი კომკავშირელია, საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების ფრიადოსანია.

* * *

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ვაჟკაცობისა და თავდადებისათვის რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტროს „გორვაჭრობის“ სექციის გამგე ამირან ივანეს-ძე მენაბდიშვილი დაჯილდოებულია მედლით „წყალწაღებულთა ხსნისათვის“. მან დახრჩობისაგან იხსნა ხუთი წლის გიორგი ქურდაძე. (საქინფორმი).

ᲐᲛ ᲪᲝᲢᲐ ᲮᲜᲘᲡ წინათ ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული აკადემიური ანსამბლის კონცერტები. ანსამბლის მხატვრული ხელმძღვანელები არიან სსრ კავშირის სახალხო არტისტები, სახელმწიფო და შოთა რუსთაველის სახელობის პრემიებისლაურეატები ნინო რამიშვილი და ელიკო სუხიშვილი.

ანსამბლის გამოსვლებს მაყურებლები მჭუხარე ოვაციებით შეხვდნენ. ეს იყო სახელგანთქმული კოლექტივის პირველი კონცერტები საბერძნეთში და კვიპროსზე გასტროლების შემდეგ. ამ დღეებში კი ანსამბლი ერთი თვით საგასტროლოდ გაემგზავრა ციმბირის ქალაქში. ქართველი მოცეკვავეები თავიანთ ხელოვნებას უჩვენებენ ომსკის, ტომსკის, ნოვოსიბირსკისა და ბარნაულის მაყურებლებს.

ამ გასტროლებს ანსამბლი ციმბირის სოფლის მეურნეობის მუშაკებს უძღვნის.

ს. ედიშერაშვილისა და ჯ. საპოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

მატარებელი ნიაშია!

ᲑᲐᲛᲘ. ᲜᲘᲐ-ᲒᲠᲣᲖᲘᲜᲡᲙᲐᲘᲐ. („კომუნისტის“ საგუშაგო). ნოემბერი დიდი ზემის თვეა ბაიკალ-ამურის магისტრალის დასავლეთ უბნის მშენებლებისათვის. ახალი მაგისტრალის ტრასაზე გაჩნდა რიგით ექვსმე რკინიგზის სადგური ნიაგრუზინსკაია. „ანგარმშეხის“ კოლექტივმა დაიმქმეულ ვადაში გაიყვანა 40 კილომეტრი სიგრძის ახალი მაგისტრალი, ძატარებელი ნიაში მოვიდა!

რკინიგზის ბოლო მონაკვეთის გაყვანაზე აქტიური მონაწილეობა მიიღეს ქართველმა მშენებლებმაც. მოხალისეთა ბრიგადები, რომლებსაც გ. გეგეჭკორი, ვ. რუხაია, ნ. ოპარიხი, ვ. ჯაშიაშვილი, გ. სამხარაძე ხელმძღვანელობდნენ, მხარში ამოუდგნენ სოციალისტური შრომის გმირის ვ. ლაკომოვის ბრიგადის წევრებს, როლეებსაც ნია გრუზინსკაიაში რკინიგზისა უშუალო შემოყვანის პატივი ხვდათ წილად.

ამრიგად, ბამის დასავლეთ უბანზე უკვე გაყვანილია 102 კილომეტრი რკინიგზის ახალი ხაზი. მასზე განლაგდა სადგურები ლენა, ტაიურა, ნია-გრუზინსკაია. მაგისტრალი აღმოსავლეთისაკენ მიდის...

საბჭოთა

ᲮᲣᲚᲘᲒᲐᲜᲘ ᲕᲔᲜᲐᲮᲨᲘ

ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲯᲝ, 23 ნოემბერი. (საქინფორმის კორ.). საგარეჯოს რაიონის სოფელ კაკბეთის მცხოვრები ბიძინა კუპატაძე ახალგაზრდობის მიუხედავად ორჯერ არის ნასამართლევი. ოთხ წელზე მეტი დაჰყო შრომა-გასწორების კოლონიებში, მაგრამ ჭკუა მაინც ვერ ისწავლა. ერთხელ შრომლებზეც გიწია საცემრად, მაგრამ ძმამ დაიკავა.

ბიძინამ წყენა გულში ჩაიდო და გადაწყვიტა „შური ძმაზე. ჩუმად შეიპარა მის ვენახში და მწიფე მტევნებით დახუნძული ვაზი აჩეხა. ამ ფეკალობამ მთელი სოფელი აღაშფოთა. საგარეჯოს რაიონის სახალხო სასამართლომ ბოროტ ხელოვანს მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა ერთი წლით. სასჯელს იგი მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოიხდის.

ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲭᲘᲠᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲔᲛᲝᲠᲘᲐᲚᲘ

ᲔᲠᲗᲘ ᲜᲐᲑᲘᲯᲘᲗ ᲓᲐ..

ᲡᲐᲠᲘᲖᲝ. ადგილებისათვის მონაწილეთა ნახევარი — 8 მოჭადრაკე აგრძელებს ბრძოლას.

გურგენიძე, რომელიც შეჯიბრების ერთპიროვნული ლიდერი იყო, ამ ტურში რაძღნადმე შეფერხდა. იგი შეეცადა მოგებაზე ეთამაშა ხოლმოვთან, მაგრამ მოსკოველმა დიდოსტატმა, რომელსაც მოჭადრაკეები დიდი შეუპოვრობისათვის „ცენტრალურ მცველს“ უწოდებენ, გაათანაბრა პოზიცია და მეტოქენი ყაიმზე შეთანხმდნენ. ლიდერის ყაიმმა რამდენიმე მონაწილეს ოპტიმისტური განწყობილება შეუქმნა. იმედები მიეცათ ახალგაზრდა ლერნერსა და გიორგაძეს. მართალია, ახალგაზრდებისათვის იოლი როდი იყო ლუტიოოვთან მოგება, რომელიც ამ ტურნირში მხოლოდ ერთხელ (გურგენიძესთან) დამარცხდა. ამ პარტიაში ყაიმი აღინიშნა. სამაგიეროდ გიორგაძემ ზაიჩიკთან და ლერნერმა ჯანოევთან უპირატესობას მიაღწიეს. ორივე პარტია დაუმთავრებელი დარჩა.

სტურუამ დილით კარგად გამოიყენა უპირატესობა უბილავასთან, საღამოს კი სძლია მიქაძეს. ამ ორმა ქულამ სტურუას ოსტატობის ნორმისათვის ბრძოლის საშუალება მისცა.

ლიდერებს ისევ მიუახლოვდა უბილავა, რომელმაც მოუგო გედევანიძეს, კუზმინი ერთხახს ეცადა უპირატესობა მიეღო მიხალჩიშიხთან, მაგრამ ვერაფერს გახდა და ყაიმს დასჯერდა.

ამრიგად, ბოლო ტურის წინ საპრიზო ადგილებისათვის ბრძოლის შესაძლებლობა რვაკე პრეტენდენტმა შეინარჩუნა.

გუშინ გადადებული პარტიების დამთავრებისას ლერნერმა მოუგო ჯანოევს, სტურუამ — ზაიჩიკს, კუზმინმა — ჯანოევს, გიორგაძემ ვერ გამოიყენა უპირატესობა და ყაიმს დასჯერდა ზაიჩიკთან ორთაბრძოლაში. ასეთივე შედეგით დამთავრდა ბოკუჩავა-ჩიქოვანის პარტია.

ამრიგად, დღეევანდელ უკანასკნელი, მეთხუთმეტე ტურის წინ პირველ-მეორე ადგილებს ინაწილებენ გურგენიძე და ლერნერი, რომელთაც 9-9 ქულა აქვთ. რვანაბვერი ქულა მოაგროვეს გიორგაძემ, უბილავამ და ახალაევმა.

დღეს უკანასკნელ ტურში გურგენიძე შავებით ეთამაშება ჩიქოვანს. ლერნერი, ისევე შავებით — კუზმინს. გიორგაძე ამავე ფერის ფიგურებით ხვდება მიქაძეს, უბილავა თეთრებით — ბოკუჩავას, ხოლო ახალაევი თეთრებით — სტურუას.

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ

ᲙᲐᲚᲐᲛᲑᲣᲠᲘ. რიგის სკა-ს ვაჟთა გუნდმა პირველი ქულა ჩაიჭერა გათამაშებაში. ჩემპიონატის მორიგ მატჩში თავის მოედანზე მან დაამარცხა ელადიოსტოკის „სპარტაკი“ — 89:84 (50:45).

ᲙᲐᲖᲐᲜᲘ. გუნდების საკავშირო ტურნირში მოსკოვის „დინამომ“ მოუგო ვილნიუსის „კიბირკშტისს“ — 72:59 (44:27), ლენინგრადის „სპარტაკმა“ — ცსკა-ს — 59:57 (26:24), სვერდლოვსკში „ურალმაში“ დამარცხდა მოსკოვის ოლქის „სპარტაკთან“ — 61:85 (31:36), კიევის „დინამო“ — ტაშკენტის სკიფ-თან — 58:74 (26:47).

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ. კუიბიშევის „კრილია სოვეტოვმა“ მეორე ამხანაგური მატჩი გამართა ქალაქ ვიენტიანში ლაოსელ ფეხბურთელებთან და გაიმარჯვა ანგარიშით 2:0 (1:0).

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

„ᲑᲐᲕᲐᲠᲘᲐ“ — „ᲙᲘᲗᲣᲮᲘᲠᲝ“

ᲛᲘᲣᲜᲮᲔᲜᲨᲘ გაიმართა ფეხბურთში საკონტინენტთაშორისო თასის გათამაშების მეტად საინტერესო მატჩი გფრ-ის „ბავარიასა“ და ბრაზილიის „კრუზეიროს“ კლუბებს შორის.

ანგარიშით 2:0 (0:0) გაიმარჯვეს მასპინძლებმა. ბურთები თამაშის 80-ე და 82-ე წუთებზე გაიტანეს გ. მიულერმა და კაპელმანმა.

21 დეკემბერს ეს გუნდები განმეორებით მატჩში შეხვდებიან ერთმანეთს ბრაზილიის ქალაქ ბელუ-ორიზონტში.

ᲙᲔᲚᲘ „ᲙᲝᲡᲛᲝᲡᲘᲓᲐᲜ“ ᲒᲠᲣᲜᲓᲔᲑᲐ...

... ᲔᲥᲐᲜᲘ წლის ბიჭუნასთვის ყველაზე ძვირფასი იყო ამბის ხახუკარი ფეხბურთის ეურთი. ედინოს უკვე ამ ასაკში ჩინებული დრიბლიხვი აქვს, ძლიერად და ზუსტად ურტყამს კარში და, როგორც ძამამისა ამტკიცებს, „რამდენიმე წლის შემდეგ ძეკარეებისა და მცველების ოინსხვა ექნებაო“. ედიხიოს ძაძა ფეხბურთის პროგაიზებში სანდო კაცია, რადგან ეს გაილავთ პელე. „მე არ ვცდილობ ხეკი ყმაწვილი დიდ ფეხბურთელად აღვზარდო, მაგრამ, როგორც ჩანს, მოწოდება აქვს ამ სპორტში“.

„ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელის“ სტატუსი, იგი ვერ ავარჯიშებს შვილს, რადგან ეტისმეტად ბევრს მოგზაურობს აღერიკის გუნდ „კოსმოსთან“ ერთად.

„კოსმოსთან“ 36 წლის პელეს კოხტრაქტს გაისად ოქტომბერში გაუდის ვადა, და მას განზრახული აქვს დაეთანხმოს ბრაზილიის ნაკრები გუნდის მწვრთნელის ოსვალდო ბრანდაოს მიწვევას და მისი თანაშემწე გახდეს არგენტინის მსოფლიოს ჩემპიონატისათვის გუნდის მომზადებაში.

პელეს—მსოფლიოს ოთხი ჩემპიონატის მონაწილეს — ჯერ არ დაუწყია თავისი ახალი მუშაობა, მაგრამ უკვე დასახელა არგენტინის ტურნირის ფავორიტები. მისი ახლით, არგენტინაში გამარჯვების მთავარი პრეტენდენტები იქნებიან პირველობის მასპინძლები და ბრაზილიელები. ევროპის გუნდებიდან პელე უპირატესობას ანიჭებს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, პოლონეთისა და პოლონეთის ნაკრებ გუნდებს.

...შეიძლება მოსკოველმა ფეხბურთის ძოყვარულებმა მომავალი წლის იანვრის დამლევს ლუჟნიკის სპორტის სასახლეში ნახონ პელე მინი-ფეხბურთის ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირზე, რომელშიც ნავარაუდევია „კოსმოსის“ მონაწილეობა (საკდესი).

ᲡᲝᲩᲣᲛᲘᲡ ᲛᲨᲘᲡ ᲥᲕᲔᲨ

ᲗᲣᲛᲪᲐ ნოემბერია, მაგრამ სოხუმში მზე კაშკაშებს. ჩინებული ამინდი ხელს უწყობს სპორტსმენებს — ბიდარებით, კანოეთი ნიჩბოსნებსა და იახტსმენებს, რომლებიც ნავსადგურის აკვატორიას სერავენ.

ნიჩბოსნობის 38 მოყვარული ვარჯიშობს მწვრთნელის მერაბ შელიას ხელმძღვანელობით ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოება „დინამოს“ სექციაში. სპორტსმენთა შორის 4 სპორტის ოსტატობის კანდიდატი, 4 პირველთანრიგოსანია. სურათებზე: (ზემოთ) — მწვრთნელი მერაბ შელია მითითებებს აძლევს სპორტსმენებს; (ქვემოთ) — დინამოელი ნი